

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №25

ქ. თბილისი

9.11.2012

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები:

იოსებ სალუქვაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანი მედიცინის დეპარტამენტის სრული პროფესორი, სამედიცინო განათლების, კვლევების და სტრატეგიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი, საბჭოს მდივანი;

ნინო მოწინაძე - საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის აღმასრულებელი საბჭოს წევრი;

კონსტანტინე ნანობაშვილი - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;

რუსუდან ტყეშელაშვილი - საქართველოს განმანათლებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;

დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ნანა ჭილაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

რევაზ ხოფერია - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ნინო ფურცხვანიძე - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ნინო ბეგიაშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

კონსტანტინე ჩოკორაია - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;

ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი.

ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. თინა გელაშვილი - ა(ა)იპ - ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი;

2. როინ ყავრელიშვილი - ა(ა)იპ - ახალქალაქის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - კოლეჯის რექტორი;

3. ზვიად ხაჭაპურიძე - შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ეტალონის დირექტორი;

4. ნინო კობაიძე - შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ეტალონის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი;

5. ნინო ყაზაროვი - შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

6. დალი მიჩიტაშვილი შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგის მიმართულების მდივანი;

7. გოდერძი ფრანგიშვილი - შპს - ბიზნესის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი;

8. ლალი ხვედელიძე - შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის კანცლერი;

9. ნათია მიქელთაძე - შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე.

ავტორიზაციის ექსპერტები:

შორენა ჯაფარიძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
ნინო ფეტვიანიშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
მაია ხურცილავა - ავტორიზაციის ექსპერტი;
თამარ გვიანიშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
მიხეილ ტეფნაძე - ავტორიზაციის ექსპერტი.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19:45 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა იოსებ სალუქვაძე.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ - ახალქალაქის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - კოლეჯის რეორგანიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ეტალონისთვის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
3. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - ბიზნესის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს - საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა ნანა ჭილაძემ, აღნიშნა, რომ მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრს ა(ა)იპ - ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ - ახალქალაქის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - კოლეჯის რეორგანიზაციის პროცესი არ ჰქონდა დასრულებული. შესაბამისად, ორივე საგანმანათლებლო დაწესებულების

წარმომადგენლებმა ავტორიზაციის საბჭოს წინაშე დააყენეს შუამდგომლობა, რომ მათი საკითხის განხილვა გადადებულიყო.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა ავტორიზაციის საბჭოს გააცნო ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის შუამდგომლობა, რომლის მიხედვითაც ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ითხოვდა გადადებულიყო შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა, ვინაიდან საკითხი საჭიროებდა დამატებით შესწავლას.

ნანა ჭილაძემ ავტორიზაციის საბჭოს წევრებს გააცნო შპს - საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯის რექტორის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისთვის მიწერილი წერილი, რომლის მიხედვითაც ალექსანდრე კუჭუხიძე არ ენდობოდა დაწესებულების ავტორიზაციის პროცესთან ცენტრის მიერ ჩატარებულ ადმინისტრაციულ წარმოებას. შესაბამისად, იგი ავტორიზაციის საბჭოს წინაშე შუამდგომლობს, რომ გადაიდოს შპს - საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დააყენა შუამდგომლობა, რომ სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი, მე-5 და მე-6 საკითხების განხილვა გადადებულიყო, რასაც ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის ახალი წესრიგი:

1. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ეტალონისთვის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - ბიზნესის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1. შპს - საზოგადოებრივ კოლექტორებს ეტალონისათვის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით (ოქმი N9) შპს - საზოგადოებრივ კოლექტორებს ეტალონს მიენიჭა ავტორიზაცია და პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განესაზღვრა 280-ით, რის შემდეგაც, მან მატერიალური რესურსის სახით სასწავლო ფართები დაიმატა გორში, ქუთაისში, სამტრედიასა და თელავში, ამჟამად, საგანმანათლებლო მიზნებისათვის ის დამატებით, იჯარის ხელშეკრულებების საფუძველზე ფლობს შემდეგ მატერიალურ რესურსს:

- გორში - სტალინის ქუჩა N15-ში სამსართულიანი შენობის მესამე სართულზე არსებულ 634 კვ.მ. ფართს. ექსპერტთა ვიზიტის დროს აღნიშნული ფართის ფლობა საჯარო რეესტრის ამონაწერით არ დასტურდებოდა (საკადასტრო კოდი 66.05.19.154).
- ქუთაისში - გრიშაშვილის ქუჩა N7-ში 902.95 კვ მ ფართს (საკადასტრო კოდი 03.03.26.117.01.509).
- სამტრედიასში - ფოთის ქუჩა N 11-ში 430 კვ.მ. ფართს (საკადასტრო კოდი 34.08.56.243).
- ბათუმში - აღმაშენებლის ქუჩა N13 საერთო ფართით 640 კვ.მ. ექსპერტთა ვიზიტის დროს აღნიშნული ფართის ფლობა საჯარო რეესტრის ამონაწერით არ დასტურდებოდა
- თელავში - ვარდოშვილის ქ, 15. საერთო ფართით 411, 7კვ.მ. საკადასტრო კოდი 53.20.38.151.

აღნიშნულ მისამართებზე სასწავლო პროცესის წარმართვისთვის საჭირო მატერიალური რესურსი შემდეგნაირად არის გადანაწილებული:

- გორში - მერხი სამადგილიანი - 20, მერხი ორადგილიანი - 76 შესაბამისი სკამებით (სულ 212 სტუდენტზე), კომპიუტერი 8 ერთეული.
- ქუთაისში - მერხი ორადგილიანი - 76 შესაბამისი სკამებით (სულ 224 სტუდენტზე), კომპიუტერი 12 ერთეული.
- სამტრედიასში - მერხები შესაბამისი სკამებით 140 სტუდენტზე, კომპიუტერი 10 ერთეული.
- ბათუმში - სასწავლო მერხები 220 სტუდენტზე, 15 კომპიუტერი.
- თელავში - მერხი 68 სტუდენტზე. შესაბამისი სკამები, კომპიუტერი - 7.

აღნიშნულ მისამართებზე ნებადართული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით - ადგილზე არსებული მატერიალურ ტექნიკური ბაზის გათვალისწინებით. ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ კოლეჯის მფლობელობაში არსებულ ფართში ყველა მისამართზე არის სასწავლო პროცესის წარმართავისთვის საჭირო გარემო, აუდიტორიები ნათდება ბუნებრივად, გათბობის საშუალებებად გამოიყენება ცენტრალური გათბობა, ზამთარ - ზაფხულის სისტემა ან ელექტროგამათბობლები, მოწყობილია პროგრამის შესაბამისი კლას-ლაბორატორიები, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ყველა მისამართზე მოწყობილია პირველადი დახმარების სამედიცინო კაბინეტი; სველი წერტილები გამიჯნულია, ცალკეა სველი წერტილი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის, მათთვის, ასევე, მოწყობილია პანდუსები.

კომპიუტერები, პროექტორები, გამოიყენება, როგორც სასწავლო მიზნებისთვის, ისე ადმინისტრაციის მართვაში. ყველა მისამართზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, ცეცხლმაქრები; გადამოწმდა ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდები, ისინი შეესაბამება სასწავლო პროგრამის სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურას.

ექსპერტთა ვიზიტის დროს გადამოწმდა ადგილზე არსებული მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტაცია, რის შედეგადაც დადგინდა, რომ აღნიშნულ მატერიალურ რესურსებს კოლეჯი ფლობს შესყიდვის, ჩუქების ან იჯარის ხელშეკრულებების საფუძველზე.

2. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ანხორციელებს:

გორში - 31, ქუთაისში - 35, სამტრედიამში - 37, ბათუმში - 34, თელავში - 18 მასწავლებელი.

ადგილზე გადამოწმდა მათი პირადი საქმეები, მათი კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება შეესაბამება პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებს. ყველა ქალაქში, სადაც კოლეჯი აპირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, პროგრამის შესაბამის კერძო და საჯარო სტრუქტურებთან გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, რომლის საფუძველზეც პროფესიული სტუდენტები ამ დაწესებულებებში გაივლიან პროგრამებით გათვალისწინებულ საწარმოო პრაქტიკას.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა ამონაწერები საჯარო რეესტრიდან, რითაც დაადასტურა ქ. ბათუმსა და ქ. გორში ფართის მართლზომიერი ფლობა.

ნინო ფურცხვანიძის განცხადებით, საჯარო რეესტრის ამინაწერის თანახმად, შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი ეტალონი ქ. გორში ფლობდა 634 კვ.მ. ფართს, ხოლო ქ. ბათუმში - 667,8 კვ.მ ფართს.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, დაწესებულებას სურდა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა ზუსტად იმ რაოდენობით, ქალაქების მიხედვით, რაც დაფიქსირებული იყო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებითა და ექსპერტთა ჯგუფის პოზიციის გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის სტუდენტთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭილაძემ, განაცხადა, რომ შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ეტალონს, მისი მატერიალური რესურსის, კერძოდ, დასკვნაში დაფიქსირებული მონაცემების გათვალისწინებით, შეეძლო ქ. გორში - 212; ქ. ქუთაისში - 224; ქ. სამტრედიაში - 140; ქ. ბათუმში - 220 და ქ. თელავში - 68 პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ეტალონისათვის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33¹ მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ეტალონს (საიდენტიფიკაციო კოდი: 401962890) პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს - 1144 პროფესიული სტუდენტით (მათ შორის: თბილისი- 280; გორი-212; ქუთაისი-224; სამტრედია-140; ბათუმი-220; თელავი-68).

2. შპს - საზოგადოებრივი კოლექტიური ამაგის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებულ იქნა, რომ საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამის შესწავლა, რომელიც ბუღალტრის პროფესიული სტანდარტით მეოთხე საფეხურზეათვალიწინებული, ხორციელდება მესამე საფეხურზე. დაწესებულების ხელმძღვანელობის განმარტებით, სტუდენტების მომზადების დონე, აღნიშნული კურსის მესამე საფეხურზე დაძლევის საშუალებას იძლევა.

ექსპერტებმა შერჩევით გადაამოწმეს პროგრამების სხვადასხვა საფეხურების ერთი და იგივე ან მსგავსი სასწავლო კურსების სილაბუსები, კერძოდ, მე-3 და მე-4 დონის ბუღალტრის პროფესიული პროგრამის ფარგლებში. დაგინდა, რომ სილაბუსებში წარმოდგენილი თემატიკა განსხვავებულია და ითვალისწინებს პროფესიული სტანდარტით განსაზღვრულ მზარდ შედეგებს.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 შენობის პირველ და მეორე სართულზე განთავსებული სველი წერტილები არ იყო ადაპტირებული ინკლუზიურ პროფესიულ სტუდენტებზე. ექსპერტთა ვიზიტის დროს, მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები სველი წერტილების ადაპტირების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, დაწესებულებაში დასრულდა ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობის პროცესი, რაც დადასტურებული იქნა შესაბამისი ფოტო მასალით.

ექსპერტმა, შორენა ჯაფარიძემ, დაადასტურა ხარვეზის გამოსწორების ფაქტი.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, დაწესებულებას სურდა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 515 - ით.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებითა და

ექსპერტთა ჯგუფის პოზიციის გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის სტუდენტთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭილაძემ, განაცხადა, რომ შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგს, მისი მატერიალური რესურსის, კერძოდ, ფართის რაოდენობის გათვალისწინებით, შეეძლო 500 პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგს (საიდენტიფიკაციო კოდი: 417878130) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 500-ით.

3. შპს - ბიზნესის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა მიმართა საბჭოს შუამდგომლობით, არ მომხდარიყო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების განხილვა, ვინაიდან, მიუხედავად დასკვნის მართებულობისა, მისთვის მძიმე იქნებოდა ყველა შენიშვნის ხელახლა მოსმენა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაფიქსირებული ხარვეზების უდიდეს ნაწილს იგი ეთანხმება და იზიარებს, შესაბამისად, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის მიმართ პრეტენზია არ გააჩნია. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა ვიზიტის დროს არსებული დოკუმენტაცია, თუმცა აღნიშნული წარმომადგენელმა ე.წ. „მავ ვარიატის“, ხოლო ვიზიტის შემდგომ მოხდა ახალი დოკუმენტაციის შემუშავება.

იმის გათვალისწინებით, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ცნობილი იყო როგორც საბჭოს წევრების, ისე დაწესებულების წარმომადგენლისათვის და ამასთან, ეს უკანასკნელი არ უარყოფდა დაფიქსირებული შენიშვნების არსებობას, საბჭომ დააკმაყოფილა დაწესებულების წარმომადგენლის შუამდგომლობა იმის თაობაზე, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების განხილვა საბჭოს სხდომაზე არ მომხდარიყო.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა მოვალეობაა ვიზიტის დროს დაწესებულებაში არსებული და თავად დაწესებულების უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ გადაცემული დოკუმენტაციის შესწავლა, რაც ბუნებრივია, მოცემულ შემთხვევაშიც განხორციელდებოდა. რაც შეეხება, ვიზიტის შემდგომ შემუშავებულ დოკუმენტაციას, მათ შემოწმებას ესაჭიროება ახალი საექსპერტო ვიზიტი, ამასთან, დაწესებულებას ნებისმიერ დროს შეუძლია მიმართოს ცენტრს ახალი საავტორიზაციო განაცხადით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მიმართა კითხვით საბჭოს თავმჯდომარეს, ტარდებოდა თუ არა ავტორიზაციის სტანდარტებთან დაკავშირებით ტრენინგები.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა სთხოვა ცენტრის წარმომადგენელს, რევაზ ხოფერიას. რევაზ ხოფერიამ განაცხადა, რომ მოცემულ ეტაპზე ტრენინგების ფორმით არ ტარდებოდა არანაირი ღონისძიება, ამასთან, ცენტრი მზად იყო გაეწია ნებისმიერი პირისათვის შესაბამისი კონსულტაცია.

საბჭომ იმსჯელა შპს - ბიზნესის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ბიზნესის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ბიზნესის საზოგადოებრივ კოლეჯს (საიდენტიფიკაციო კოდი: 445400414) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 21:00 საათზე.

იოსებ სალუქვაძე
თავმჯდომარე

გაიანე სიმონია
მდივანი

